ირაკლი იაკობაშვილი

ისტ. მეცნ. დოქტორი,
საქართველოს პარლამენტის არქივის გამგე

როგორ გაჰკიცხა თბილისის პროლეტარიატმა სტალინი

წინამდებარე ტექსტები ნაწყვეტებია ვრცელი, საანგარიშო წერილებისა, რომლებიც გეგმაზომიერად იგზავნებოდა უკვე კომუნისტურ საქართველოდან ქართულ ემიგრაციაში - სტამბოლში (და შემდგომ პარიზში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დევნილ ხელისუფლების საყურადღებოდ): ორივე წერილი მოვლენის „ცხელ კვალზეა“ დაწერილი, პირველში, უშუალოდ კრების მომსწრე, ცდილობს სტენოგრაფიული სიზუსტით ასახოს კრების მსვლელობა, მეორე ავტორი უკვე სხვის მონაყოლს გადმოსცემს ადრესატს: ორივე წერილის შინაარსი ავსებს ერთი - მეორეს, აღადგენს დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, იოსებ ჯუღაშვილ - სტალინის პირველ ჩამოსვლას წითელი არმიის მიერ უკვე ოკუპირებულ საქართველოში.

იოსებ სტალინის ბიოგრაფიის თითქმის ყველა გამოცემაში (ასეთი კი დღეს თითქმის ორ ათეულს აღწევს) ნახსენებია ეს კრება, თუმცა მის დაწვრილებით მსვლელობას დღეს პირველად სწოედ ჟურნალ „პოლიტიკის“ მკითხველი გაეცნობა.

წინამდებარე ტექსტების ფასეულობა არა მხოლოდ მის სიახლეშია; მიუკერძოებელი მკითხველი ნათლად დაინახავს ქართველ მშრომელთა, ზოგადად თბილისის მოქალაქეთა დამოკიდებულება ბოლშევიკური რუსეთის ერთ-ერთი ლიდერისადმი, ისევე როგორც დამოკიდებულებას საქართველოში იარაღის ძალით გაბატონებულ ხელისუფლებისადმი. წერილების თხრობითი, ემოციებით შეფერი-

ლი ნაწერი ფაქტობრივად მხატვრულ ნაწარმოებად წარმოაჩენს 1921 წლის ივნისის ამ დღეებს.

რა ბედი ეწია სტალინს!

წამხდარ მდგომარეობის გამოსაკეთებლათ მოსკოვის კომუნისტური კომიტეტიდან გამოგზავნილი იქმნა რუსეთის ნაციონალური საქმეთა სახალხო კომისარი სტალინი, რომლის მიზანი იყო საქართველოში მოგზაურობა, ხალხის დამშვიდება, ქართველ მუშების გადაბირება, ქართველ ერის გულის მოგება.

რა ბედი ეწია სტალინს

თფილისში ჩამოსვლისთანავე სტალინმა თფილისის რევოლიუციის სავანეს მუშათა უბანს ეწვია თავისი ამალით, ნაძალადევის სახალხო სახლი ხალხით გაიჭედა, დარბაზმა ვერ დაიტია მსმენელები და ქუჩაში დარჩნენ. კრებაზე არც ერთი გარეშე პირი არ ყოფილა, იყვნენ მხოლოდ მუშები, შრომის შვილები...

სცენაზე გამოჩნდა სტალინი. დარბაზი სიჩუმით შეეგება, რომელმაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. საინტერესოა მოკლე ანგარიში კრებისა.

<u>სტალინი</u> მოხსენებას რა ენაზე ინებებთ – რუსულად თუ ქართულად ...

<u>ხმები</u> რუსულად მოსკოვში, აქ საქართველოა.

<u>სტალინი</u> (დაბალი ხმით, ქართულად, დარცხვენით) ამხანაგებო, სამოქალაქო ომმა ქვეყანა გაჰყო ორ ბანაკათ, ერთი მხრით იმპერიალიზმი ანტანტას მეთაურობით, მეორე მხრით სოციალიზმი – რუსეთის მეთაურობით. პირველ ბანაკში თავი მოიყარეს კაპიტალისტურ, დემოკრატიულ, მენშევიკურ სახელმწიფოებმა, მეორე – საბჭოთა რესპუბლიკებმა და მათ შორის საქართველომაც...

<u>ხმები</u> სირცხვილი... სირცხვილი...

(სტალინის უკანასკნელმა სიტყვებმა გამოიწვია აღელვება. კრებას აწყნარებენ. სტალინმა კი თვისი მოხსენების პირველი

ნახევარი, ე. ი. ანალიზი თანამედროვე ვითარებისა და ბრძოლა იმპერიალიზმ–კომუნიზმს შორის დაამთავრა თავისებური ახ-სნით და გადავიდა საქართველოს საკითხზე).

სტალინი მიზანი შესრულებულია ანტანტის მონობისაგან განთავისუფლებულია.

ხმები „სად არის საქართველოს თავისუფლება? (პროტეს-ტები).

სტალინი საქართველო ეხლა განთავისუფლდა მუშათა და გლეხთა საქართველოს კარჩაკეტილი არსებობა შეუძლებელია, რადგანაც გარს შემორტყმულია იმპერიალისტური ქვეყნებით, შეუძლებელია სამხედრო თვალსაზრისითაც...

ხმები ამიტომ დაიპყარით?

(ხმაურობა და პროტესტი სტალინის მიმართ).

სტალინი საქართველოს სჭირია ეკონომიური დახმარება, მან აუცილებლათ უნდა მიიღოს პური...

(დარბაზში ძლიერი ხმაურობა ატყდა, მუშები წამოდგნენ, ისმის საერთოდ ხმები: „რუსეთს არ შეუძლიან პურის მიცემა, ტყუილია“, „ყველაფერი გაიტაცეს საქართველოდან“, „დაბყრობამ-დე იყო პური .. ეხლა ყველაფერი გამოილია” ..

ხმაურობა და ხმები გაგრძელდა. სტალინი დაფიქრებული თავჩაღუნული იყო. დაწყნარების შემდეგ მან განაგრძო)

სტალინი საქართველოს არა აქვს სათბობი მასალა, მან აუცილებლათ უნდა მიიღოს ბაქოდან ნავთი...

(ისევ ხმაურობა და ხმები; „ბაქო გაანადგურეთ...“, „ყველა-ფერი წაიღეთ..“, „ბაქო ჩვენ რას მოგვცემს, თავისთვის აღარ აქვს ნავთი“).

სტალინი საქართველომ რომ დაფაროს თვის შემოსავალ-გასავალი, რუსეთიდან უნდა მიიღოს ოქრო ...

(საერთო სიცილი დარბაზში).

ამ მხრით გადადგმულია ნაბიჯი. რუსეთის მთავრობამ გა-დასწყვიტა კავკასიის სამივე რესპუბლიკას გამოუგზავნოს საჩუქ-რათ 6 ½ მილიონი ოქრო...

(ხმაურობა, სიცილი, საერთო ხმები: „უკან მიირთვით...“, „გაძარცვისა, განადგურების შემდეგ ...“, „მის მიერ გაპარტახებულ საქართველოს, ოქროს საჩუქარი...“, „რუსეთი, რას მოგვცემს...“) .

<u>სტალინი</u> (შემკრთალი განაგრძობს მუშების შემდეგ) უნდა შეიქმნას მჭიდრო კავშირი ამიერ კავკასიის ერთა შორის და ამ უკანასკნელის დიდ რუსეთთან. საუბედუროთ ამ სამი წლის განმავლობაში, მენშევიკების, მუსსავატელების, ნაციონალისტურ-მა პოლიტიკამ აგრესიულმა შოვინიზმმა მოსწამლა ატმოსფერა, რომელიც აღმოფხვრილი უნდა იქმნას...

(საერთო ხმაურობა, პროტესტები, ხმები: „თქვენ რა ჩაიდინ-ეთ?“, „თქვენმა იმპერიალისტურმა თავდასხმამ გაართულა ნაციონალური მდგომარეობა“, „რუსეთმა მოსპო მშვიდობიანობა სამ ერთა შორის...“, „რუსული ნაციონალიზმის მსხვერპლი გახდენ..“).

<u>სტალინი</u> „მართალია დღეს საგრძნობია ნაციონალური შუღლის გაძლიერება, მაგრამ ეს ნაყოფია მენშევიკების მუშაობ-ის, რომელსაც აწარმოებდა ანტანტის კარნახით და რუსეთს საფრთხეს უმზადებდა...

(ამ სიტყვებზე მთელი დარბაზი ფეხზე დგება, ისმის ყვი-რილი, ხმაურობა, პროტესტები, ხმები: „ტყუილია“, „სიცრუეა“, „თქვენ მოსპეთ დამოუკიდებელი საქართველო“, „სისხლში ჩაახრ-ჩეთ ქართველი ერის თავისუფლება“, „ფეხქვეშ გათელეთ მისი ისტორიული თვისება“, „მოსპეთ მუშათა ორგანიზაციები“.

ხმაურობა ძლიერდება, გრძელდება, არაფერი ისმის. სტა-ლინი და თვისი მხლებლები გაშტერებულნი არიან. კრება დი-დი ხნის შემდეგ წყნარდება. ისმის წინადადებები: „უყუროთ“, „ბოლომდის მოუსმინოთ...“).

<u>სტალინი</u> (კარგი ხნის შემდეგ) აქ თქვენ მღელვარებთ, ის-ვრით ბრალდებებს, ვითომც მოხდა საქართველოს დაპყრობა, ეს არ არის მართალი, რუსის წითელი ჯარის შემოსვლის მიზანი იყო საქართველოს გლეხების და მუშების განთავისუფლება...

(დარბაზში ძლიერი ხმაურობა ატყდება, ყვირილი ისმის, ხმები ძლიერ არეულად: „კმარა... წავიდეთ...“, „ცეცხლით და მახ-

ვილით დაანგრიეთ მუშების და გლეხების სისხლით აშენებული თავისუფალი საქართველო..“, „საქართველოში თქვენგან გამოგზავნილი მოღალატენი თავისუფლად დადიოდნენ, თავის შესაფარს მოელოდნენ...“, „ისტორია განსჯის...“, „პასუხის დრო დადგება...“)

<u>**სტალინი**</u> საქართველოს მთავრობამ არ შეასრულა პირობა რუსეთთან დადებული და აქ თავი მოიყარა საბჭოთა წყობილობის აშკარა მტრებმა, მათი მფარველობის ქვეშ...

(დარბაზში ძლიერი ხმაურობა ატყდა, ისმოდა ყოველ მხრივ ხმები, ყვირილი, თავმჯდომარე კრების დახურვას შეეცადა, მაგრამ ვერც დახურვა შესძლო. ხმაურობამ და მღელვარებამ 15 წუთი გასტანა).

<u>**სტალინი**</u> ჩვენ უტყუარი ცნობები გვქონდა იმისი, რომ საქართველოს მთავრობა დახმარებას ეწეოდა დაღესტანის მთავრობას აძლევდა იარაღს და ჩვენს წინააღმდეგ ამზადებდა...

(მღელვარება და ხმები: „ტყუილია...“, „კიდევ ცილის წამება...“, „საბუთი?“, „სირცხვილი, სირცხვილი“)

<u>**სტალინი**</u> მე ძალიან მიკვირს მუშების მღელვარება, ნუთუ გგონიათ თქვენ საქართველო არ იარსებებს... ჩვენ მოვსპეთ აქ ანტანტის დასაყრდნობი ძალა კავკასიაში. სამი წლის განმავლობაში ანტანტის იმპერიალიზმის სათარეშოთ იყო გადაქცეული მენშევიკურ –ბურჟუაზიის მეცადინეობით ...

(ხმაურობა, პროტესტები, ხმები: „თქვენ მოსპეთ საქართველო...“, „მოსპეთ პრესის, კრების, სიტყვის თავისუფლება...“, „შიმშილ და სიღატაკეში ჩაგვაგდეთ მუშები...“).

<u>**სტალინი**</u> (შეამოკლა და იჩქარა მოხსენების გათავება) საქართველოს მუშათა კლასის გამორკვევა, მისი ამოცანაა ამიერ კავკასიასთან, რუსეთთან მჭიდრო კავშირი – ეკონომიური, პოლიტიკური. მე ღრმად მწამს საქართველოს მუშათა კლასი შესძლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობის ასრულებას რევოლიუციისა და კომუნიზმის საკეთილდღეოთ...

(მოხსენება დაამთავრა ხმაურობაში, ისმოდა ხმები: „საქართველოს მუშათა კლასი შესძლებს თქვენს მიერ დადგმულ მონობის უღლიდან განთავისუფლებას“).

<u>თავმჯდომარე</u> მომხსენებლის შემდეგ პირველი სიტყვა ეკუთვნის ალექსანდრე დგებუაძეს

(მთელი დარბაზი ფეხზე დგება, გაისმის ძლიერი ტაშის ცემა, ხმები: „ვაშა... ვაშა...“. „გაუმარჯოს ალექსანდრე დგებუაძეს“.)

დგებუაძე მიდის ტრიბუნისაკენ, მთელი ხალხი თვის საუკეთესო შვილს, მუშა – რევოლიუციონერს, ბათომის მუშათა მოძრაობის პიონერს აღფრთოვანებით, ტაშის ცემით აცილებს. კომუნისტები ამ სურათს თავჩაქინდრით შეჰყურებენ. დგებუაძეს ტრიბუნაზე გასვლის შემდეგ რამოდენიმე წუთს გაგრძელდა ოვაციები.

<u>ალ. დგებუაძე</u> ამხანაგო მუშებო, ბატონ მომხსენებელმა წამოაყენა საქართველოს მენშევიკების წინააღმდეგ სამი ბრალდება:

1. მენშევიკების პოლიტიკა იყო ნაციონალისტური. დაესხნენ სომხებს, შეეტაკენ თათრებს, ჩამოაგდენ შუღლი ერების შორის.

2. მენშევიკების პოლიტიკა იყო კონტრ – რევოლიუციონური. მენშევიკები ხელს უწყობდნენ და ეხმარებოდნენ დენიკინს და დენიკინელებს და

3. მენშევიკები აწარმოვებდნენ რეპრესიებს კომუნისტების წინააღმდეგ. ჩვენ თვითეულ მუხლს ცალკე შევეხებით და დავამტკიცებთ სამივე ბრალდების უსაფუძვლობას.

<u>პირველი</u> ნაციონალური პოლიტიკის შესახებ. „მენშევიკები სომხებს თავს დაესხნენ. – ეს სიცრუეა, სომხებს ჩვენ კი არ დავეცით, პირიქით ისინი დაეცნენ სანაიანს და ვორონცოვის მიმართულებით ჩვენს სანაპირო დარაჯებს, - ზოგი მოჰკლეს, ზოგი ტყვეთ წაიყვანეს. შემოიჭრენ ჩვენს ტერიტორიაზე, დაიკავეს სადახლო, მოადგნენ ეკატერინოფელდს, ემუქრებოდნენ თბილისს, ერს განსაცდელი მოელოდა. ამიტომ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები იძულებულნი შეიქმნენ შემოსეულ მტერს შე-

ტაკებოდნენ, შესაფერი პასუხი გაეცათ. ტერიტორიიდან გაედევ-ნათ, რაც პირნათლად შესრულებული იქმნა.

„შეეტაკე თათრებსო“, ამბობს მომხსენებელი.

თათრები შეეცადენ საქართველოს დაპყრობას. ქართველ ხალხზე თავის უღელის დადგმას. თათრების საქართველოში შე-მოსვლა – საქართველოში ... შემოსვლა – გაბატონება იქნებოდა. და აი ამათაც შესაფერი პასუხი გასცა საქართველოს მშრომელმა ხალხმა ოჩხამურთან და ჩოლოქთან ბათუმის მიმართულებით, მდინარე ხრამთან ბორჩალოს მაზრაში.

„ჩამოაგდენ შუღლი ერებს შორისო“ - ეს ხომ ცილის წამე-ბა და ტყუილია. მენშევიკების ცდა ყოველთვის ერების შეთან-ხმება – შეკავშირებისკენ იყო მიმართული. ამ მიზნით მოხდა ამ-იერ კავკასიის ერთა წარმომადგენლების კონფერენცია 1918 წელს და შემდეგ 1919 წელს ამ მიზნით იგზავნებოდა მუშათა დელე-გაცია რუსეთში.

ამ ნაიარად არც ერთი ნაბიჯი მენშევიკების ნაციონალის-ტური არ ყოფილა. სამწუხაროდ ამას კომუნისტებზე ვერ ვიტ-ყვით, კომუნისტებმა დაიპყრეს ადერბეიჯანი, სომხეთი და სა-ქართველო. ამით მათ გასთელეს ერთა თვით გამორკვევის პრინციპი. მომხსენებელი სხვის თვალში ეძებს ბეწვს, თავის თვალში დირესაც ვერ ხედავს. (საერთო ტაშის ცემა. ხმები, ვაშა) ვერ ხედავს რომ ნაციონალისტური და იმპერიალისტური არის მათი – კომუნისტების პოლიტიკა. (ტაშის ცემა. – „ვაშა“, მართა-ლია).

<u>მე-2 ბრალდება</u> „კონტრევოლიუციონურ დენიკინელების დახმარება, აქაც სიყალბეა. მენშევიკები არამც თუ ეხმარებოდნენ დენიკინელებს, პირიქით მათ წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწ-არმოებდნენ. აი ფაქტები:

1. ჩვენ შევეტაკეთ დენიკინელებს მდინარე ბზიფთან. დავა-მარცხეთ.

2. ჩვენ ვეხმარებოდით ჩრდილო კავკასიის მთიელებს ცოცხალი ძალებით, იარაღით, როდესაც მათ დენიკინელები ებრძოდნენ.

3. ჩვენ მივეცით თავშესაფარი კომუნისტებს და მთიელებს, რომლებიც ვლადიკავკავის მიდამოებში დამარცხდნენ დენიკინთან ბრძოლაში.

4. ჩვენ დავაკავეთ გემი, რომელსაც მოჰყავდა ოფიცრები დენიკინის გასაძლიერებლად.

5. არ გაუშვით სამგზავრო იარაღები და სამკაულები, რომელსაც ინგლისელები დენიკინელებს უგზავნიდნენ.

6. უდექით მათ პირისპირ სოჭის, კავკასიის და მამისონის მიმართულებით. ჩვენ მიეჯაჭვეთ ათასზე მეტი დენიკინელი და ამით რუსეთის მუშებს გაუადვილეთ რეაქციასთან ბრძოლა. შეიძლებოდა კიდევ მრავალი ფაქტების მოყვანა, მაგრამ ესეც საკმარისია.

<u>მესამე ბრალდებაა</u> „რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ“ მართალია ვაწარმოებდით, მაგრამ მოქცევა სხვანაირად ყოვლად შეუძლებელი იყო, ყოველივე სახელმწიფო ებრძვის დამცველ და დამაბკოლებელ ელემენტებს, ელემენტებს, რომლების მოქმედება მოღალატურია. კომუნისტების მოქმედება სწორეთ ამნაირი იყო. ის იყო მიმართული ხალხის წინააღმდეგ. ის უქადდა ხალხს გაქრობა–განადგურებას და რა გასაკვირალია თუ მათ სჯიდენ, აპატიმრებდნენ.

დასამტკიცებლათ მოვიყვანოთ საბუთები:

1. კომუნისტებმა გარეშე ძალების დახმარებით ხელში ჩაიგდეს სოხუმის ოლქი, მაშინ, როდესაც საქართველოს მუშები და გლეხები სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდნენ თათრების წინააღმდეგ მათთან.

2. კომუნისტებმა დაიწყეს შემოტევა სოჭის მიმართულებით მაშინ, როდესაც რეაქციონერმა ალექსანდრე შარვაშიძემ წყურდილში სოხუმის ახლოს თათრების დესანტი გადმოსხა მშრომელი ხალხის დასათრგუნავათ, „ჭკუის სასწავლებლათ“.

3. კომუნისტები, ენერგიულ ზომებს ხმარობდნენ, რომ ჩაეშალათ საქართველოში მობილიზაცია ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართული.

4. კომუნისტებმა მოაწყეს აჯანყება დუშეთის მაზრაში, შემოიყვანეს კავკავიდან ჯარები, მაშინ როდესაც ჩვენ ფრონტი თათრებთან ბორჩალოს მაზრაში გამართული გვქონდა.

5. კომუნისტებს დაუჭირენ გაგრაში გეგმა გაგრის ჩვენი პოზიციებისა, რომელიც მათ საქართველოს ხალხის მტრებისათვის უნდა გადაეცათ.

6. სოხუმის კომუნისტებს აღმოუჩინეს აუარებელი ასაფეთქებელი მასალები, მოწოდებები ახალგაზრდებისადმი მიმართული, რომ ჯარში არ წასულიყვნენ.

7. კომუნისტების არტილერიის უფროსი სმირნსკი კიროვს სწერდა: „ვღებულობდი მონაწილეობას როსტოვის, ცარიცინის აღებაში, მაგრამ უფრო დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას თფილისის აღებაშიო.“

მეტი ფაქტები საჭირო არაა.

ამნაირად კომუნისტები აწყობდნენ აჯანყებას ხალხური მთავრობის წინააღმდეგ. უშლიდნენ მას ხელს თავდაცვაში. აწვდიდნენ გარეშე მტერს სამხედრო ხასიათის ცნობებს, ცდილობდნენ შეეტანათ ჯარში დეზორგანიზაცია... ემზადებოდნენ და ხელს უწყობდნენ დემოკრატიული საქართველოს დამპყრობელთა პლანებს.

ამიტომ ასეთი მოქმედებისათვის მათ სჯიდენ და აპატიმრებდნენ, რაც სავსებით ბუნებრივი და სამართლიანია.

(დგებუაძე ხალხმა ფეხზე ადგომით, „ვაშას“ ძახილით, დაუსრულებლივი ოვაციებით გააცილა).

დგებუაძის შემდეგ ტრიბუნაზე ადის კომუნისტი ივანოვი. ის იწყებს რუსულად ლაპარაკს, დარბაზში ატყდა ხმაურობა, ყვირილი: „ქართულად... ქართულად...“. ხმაურობა დიდხანს გაგრძელდა. კრება წინააღმდეგი იყო ელაპარაკნა რუსულად. ბოლოს დართეს ნება.

<u>ივანოვი</u> „საქართველოს მუშებმა და გლეხებმა შესძლეს კონტრევოლიუციის დახმარება...

(დარბაზში ხმაურობა ატყდა. ივანოვი შეეცადა ელაპარაკა, ცოტა რამ სთქვა, მაგრამ იძულებული გახდა ტრიბუნა მიეტოვებინა).

<u>თავმჯდომარე</u> „სიტყვა ეკუთვნის ისიდორე რამიშვილს.

(კრება ტაშის ცემით, ფეხზე დგომა, ისმის ხმები: „გაუმარჯოს მოხუცს რევოლიუციონერს, მუშები ჰკიდებენ ხელს ისიდორე რამიშვილს და აყვანილი მიჰყავთ ტრიბუნაზე. ისმის ხმები: „გაუმარჯოს რამიშვილს... გაუმარჯოს საქართველოს...“.

<u>ისიდ. რამიშვილი</u> „ამხანაგებო, მოსკოვის მთავრობამ ნიშანში ამოიღო დამოუკიდებელი საქართველო და ბოლო საწადელს მიაღწია. დიდი ძალი ჯარით ჩვენი ქვეყანა დაიპყრო და შიგ რუსეთიდან მოტანილი საბჭოთა ძალაუფლება გააბატონა. ამ ცვლილებამ დიდი უბედურებაში ჩააგდო ქართველი ხალხი, განსაკუთრებით მისი მშრომელი მასსა – დემოკრატია. მოკვდა მკვირცხლი და ბედნიერი ჩვენი ქვეყანა, შავი ზეწარი გადაეფარა მას და მგლოვიარებს ტანჯული ერი. დაანგრიეს, გაანიავეს დიდი ხნით ხალხის ოფლით შექმნილი ნაშთები, ნაამაგარი, საქართველოს დამოუკიდებლობის განიავებასთან ერთად გაანიავეს მისი ეროვნული სიმდიდრე...

რუსეთის კომუნისტებმა ისე როგორც სხვა პატარა განაპირა ერები დაიპყრეს და გასჭყლიტეს. საქართველოსაც თავს ეს უბედურება დაატეხეს. ამით მათ წინათ მყოფ თვითმპყრობელეების როლი აასრულეს, კიდევ უფრო მკაცრად და დაუნდობლათ. ჩვენი პატარა ქვეყანა, რომელიც სახელმწიფო წყობილების, განათლების გზაზე გამოსული და აწარმოებდა მშრომელ ხალხის საკეთილდღეო მუშაობას ჯვარს აცვეს. იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა ჩაბმული იყო სამეურნეო–კულტურულ მუშაობაში, მაშინ საქართველოს მტრები და მტარვალები მუშაობდნენ აქაც და რუსეთში ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

საქართველო დაიპყრეს. დაპყრობის პირველ დღეებში მოსკოვიდან გაისმა მშვიდობიანობის ხმა, მაგრამ დამპყრობელ ქვეყანაში გამეფდა უჩვეულო ძალადობა, რის მსგავსი ქართველ ხალხს არასდროს არ უნახავს.

დღეს ვხედავთ ჩვენ მოსკოვის მთავრობის წევრს, ძველ ნაცნობს ბატონ ჯუღაშვილს. ის თავის თვალით ნახავს და გაეცნობა ჩვენი ქვეყნის დღევანდელ გადუხჭირებულ უბედურ ვითარებას, დაინახავს, რომ ყოველი ის, რაც სამი წლის განმავლობაში აშენდა ხალხის შემოქმედებით, ნიჭით, თავდადებული გარჯით: დანგრეულა, განადგურებულა, ნორჩი ქვეყანა გადაშენების გზაზე დამდგარა, მისი ნივთიერების დანგრევასთან ერთად მისი სასიცოცხლო ძალებიც იღუპება. აქედან ბატონი სტალინი თვით დარწმუნდება, რომ საქართველოში უცხო ძალებით შემოჭრით თუ რა დიდი ისტორიული ღალატი და შეცდომა ჩაიდინეს და დაბრუნებისას დარწმუნდნენ მოსკოვის მთავრობის – შეცდომა საჩქაროთ გაასწორონ, საქართველოს ხალხს, რომელსაც უფლება და დამოუკიდებლობა წაართვეს ისევ დაუბრუნდეს. ბატონ სტალინს არ შეუძლიან არ დაინახოს, რომ დღეს დაპყრობილ საქართველოში მუშათა ორგანიზაციები განადგურებულია, თავისუფლება კრების, კავშირების, პოლიტიკურ პარტიების, სიტყვის, პრესის, მოსპობილია, რომელიც საქართველოს მუშათა კლასმა თვისი ბრძოლით მოიპოვა. მას შეუძლიან აგრეთვე დაინახოს, რომ დაპყრობილ საქართველოში ქვეყანას დაეპატრონენ უცხო, უცნობი ელემენტები, თავს ბატონებათ აცხადებენ და ქართველი ხალხი მეტ ხორცათ აღიარებულია და განდევნილია საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმიანობიდან.

კრებებზე მუშებს აღარ შეუძლიანთ თავისუფალი სიტყვის წარმოთქმა, „ჩეკით“ ემუქრებიან და თუ ილაპარაკა კიდევაც დააპატიმრებენ.

დღევანდელი ეს დიდი კრება ბევრს ეტყვის ჩვენს მომხსენებელს, რომ ქართველი მუშები, რომელნიც იბრძოდნენ თავი-

სუფლებისათვის, თავის ქვეყნისათვის, მწუხარებაშია. მის თავი-სუფლებას მონობის უღელი დაადგეს, მისი ენა ალაგმეს, მაგრამ მიუხედავათ ამ დღენისა ის თავის პოზიციაზედ სდგას, შეურ-ყევლათ, მათ დღეს მოისმინეს საქართველოს მთავრობის და ჩვენი პარტიის შესახებ ცილის წამება და მათ ამის პასუხი გა-მოხატეს, როცა აქ ბატონ ივანოვს არ მისცეს ნება რუსული ლა-პარაკისა და აღვირახსნილ დაცინვისა. დღევანდელი კრებით ჩვენი ქვეყანა პროლეტარული ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ის არ იკისრებს კომუნისტურ ექსპერიმენტებს, იცავს თავის ქვე-ყანას, თავის დედა ენას.

ძალ–მომრეობა მომხსენებელმა აქავე ამ კრებაზე დაინახა, როცა „ჩეკის“ აგენტმა მუშა დააპატიმრა შემდეგი დაძახებისათ-ვის: „საქართველო რუსის ჯარის ხიშტებით, რატომ აიღეთო.“

მომხსენებელი აქ შეეხო საერთაშორისო მოძრაობას და ქვეყანა ორ ბანაკათ დაჰყო, – ბურჟუაზიულ–იმპერიალისტურ და კომუნისტურ საბჭოთა ქვეყნებათ, ჩვენი დემოკრატიული ქვეყანა მან მიაკუთვნა იმპერიალისტურ ქვეყნებს. ჯერ ერთი მან დამალა მესამე და მთავარი ძალა, - საერთაშორისო მუშათა დე-მოკრატია, მისი მოძრაობა. საქართველო კი საერთაშორისო დე-მოკრატიის სოციალიზმის დროშის ქვეშ წინ მიდიოდა, ებრძო-ლა როგორც იმპერიალიზმს ისე კონტრ-რევოლიუციას. მას არ შეეძლო მიეღო კომუნისტურ იმპერიალიზმის „სოციალიზმი“, რომლის მიზნები გახდა ერების დარბევა, მუშათა თვით მოქმე-დების მოსპობა. საქართველოს დემოკრატია ებრძოდა როგორც ბურჟუაზიულ ისე კომუნისტურ იმპერიალიზმს. ამიტომ დაგ-ვიპყრეს, ამიტომ გვეძახიან „ყვითლებს“, მაგრამ ჩვენს მუშათა კლასს ძალით თვის წმინდა პროლეტარულ გზას ვერ შეაცვლე-ვინებენ, რადგანაც მან იცის პლეხანოვსაც ყვითელი უწოდეს. კა-უცკიც კონტრრევოლიუციონერათ გამოაცხადეს და ასეთივე ბე-დი ეწეოდა, რომ ცოცხლები ყოფილიყვნენ, მარქსს და ენგელსს და რომ რუსეთში ან ჩვენში დარჩენილიყვნენ, „ჩეკაში“ ექნებო-და მათ ბინა.

მომხსენებელმა დაგვარწმუნა და დაგვპირდა, რომ საქართველოში მოიტანეს დიდი ბედნიერება, გაგვანთავისუფლეს მონობისაგან: მოიტანებენ პურს და ოქროსო. განა ამაზე მეტი დაცინვა შეიძლება... და ამას ამბობს მომხსენებელი, როცა მათ ჩასცეს საქართველოს ცივი მახვილი, გაუპეს გული და მკერდი... როცა წაართვეს ტერიტორია, ახადეს პატივი ქართველ ერს, მოსპეს მისი ენა, გაზიდეს მისი ქონება, ჩამოგლიჯეს მისი გერბი, ფეხს ქვეშ გასთელეს მისი ეროვნული დროშა, უფლება მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა, ქვეყანა შემოსეს ძალით და ეხლა კიდევ აქვს მომხსენებელს იმდენი გამბედავობა, რომ კითხულობს - „რა წავართვით საქართველოსო“ ?

თქვენ მოჰკალით საქართველო, მაგრამ ის აღსდგება მკვდრეთით!

(რამიშვილის სიტყვას კრება დაფიქრებით ისმენდა. კომუნისტები შემკრთალნი. დარბაზმა ფეხზე ადგომით ოვაციები გაუმართა და გააცილა მოხუცი).

ასეთი ბედი ეწვია სტალინს, რომელიც საჩქაროთ გაბრუნდა მოსკოვში.

სცსსა, ფ.1861-3, # 131, ფფ. 15v- 19v.

17.07.1921

ძვირფასო ძმაო ხარიტონ,

ჩამოვიდა რუსეთიდან კავკავში საქმეებზე სტალინი, რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სვანიძემ (მისი ცოლის ძმაა) არ დააყოვნა წასულიყო კავკავში რევკომის ნება დაურთველათ და ყოველივე უმსგავსობა საქართველოს კომუნიზმის მოეხსენებია მისთვის (სხვათა შორის ამ გამოსვლამ სვანიძისამ გამოიწვია განკარგულება ცეკასი, რომ არც ერთ პასუხისმგებელ კომუნისტს არ აქვს უფლება გავიდეს საზღვარგარეთ ცეკას და რევკომის ნებადაურთელათ).

სვანიძე, როგორც გითხარი, უფრო მარჯვნივ იხრება. მას რევკომში ქავთარაძე უჭერს მხარს (და მგონი ტოროშელიძეც, სოვნარხოზის უფროსი).

სტალინი ჩამოვიდა თბილისში და როგორც გადმომცენ, ცეკაში იყო სხდომა სულ დედის გინებით და ამის შემდეგ გაიმარჯვა მემარცხენე მიმართულებამ. სტალინიც დარწმუნდა ნახალოვკაში, რომ მეტის - მეტათ სუსტი პოლიტიკა არის მენშევიკების წინააღმდეგ.

ეხლა ნახალოვკის ამბავი: დანიშნული იყო ამ სა[მ] დღის წინათ სტალინის მოხსენება. თეატრი მთლათ გაიჭედა ხალხით. მე არ ვიყავი, იყო კაცი (ჩემიანი), რომელმაც სიტყვა სიტყვით გადმომცა. შემდეგ ისიდორემაც ეგ დამიმოწმა.

კრება ძლიერ ნერვიულად დაიწყო. [სტალინს] მოხსენებას აწყვეტინებდენ ძალიან მაგარი რეპლიკებით: "სიცრუეა", "სტყუით", "მოღალატეები ხართ", "გაგვძარცვეთ", "დაგვიბყარით" და სხვა უკეთესები. კიდეც ერთი ღონიერი რეპლიკისთვინ ერთი მუშა დაიჭირეს. ეგ გაიგო კრებამ, ასტყდა აურ-ზაური და გააშვებინეს. ჩეკისტები დაძრწოდნენ. "დოკლადს" ტაში რამოდენიმე პირმა დაუკრა.

შემდეგ სიტყვა აიღო ალექსანდრე დგებ[უაძემ] (ჰო, მართლა, ისიც დაჭერილია) და წარმოსთქვა მშვენიერი შინაარსიანი სიტყვა. სიტყვათ სიტყვამდე გააბათილა მომხსენებლის დებულებები. ეგ იყო ჩვეულებრივი შაბლონიური ცილისწამება - „არ დაგვიბყრია", „მოვედით", „ვიხსენით მენშევიკების უღლიდანო" (ამის თქმაზე თითქმის მთელი თეატრი ყვიროდა - „ჩვენ ყველა მენშევიკები ვართო").

ალექსანდრე ხელით ჩამოიყვანეს სცენიდან.

სხვათა შორის აქ ალექსანდრემ მიმართა კობას სიტყვის ბოლოს და უთხრა, რომ - „საქმეზე ლაპარაკი გათავდა და ახლა უნდა პირადათ მოგმართო: ბიჭო, კობა, რა გითხრა, არა გრცხვენია, ბიჭო, მე ვარ კონტრრევოლიუციონერიო?"

ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ალექსანდრე დგებუაძის შემდეგ ილაპარაკა ვიღაც ერთმა ბე-ბერმა ბოლშევიკმა, რომელმაც სხვათა შორის თქვა, რომ - არ დაივ-იწყოთ, რომ ჩვენ შტიკით დაგიპყარით და მაგ რეპლიკებს თუ არ და[ა]ნებეთ თავი და ხელი შემიშალეთ - ყველას დაგიჭერთო.

ამ განცხადებამ დიდი აურზაური გამოიწვია. კობა არც მოკვ-და, არც დარჩა, იყო თავის სკამზე გათეთრებული.

შემდეგ გამოუშვეს ვიღაც მაკარონები. სხვათა შორის ვინმე სალდათი "ივანოვ კავკაზსკი", რომელმაც დაიწყო, რომ შიმშილობაა იმიტომ, რომ მენშევიკებმა გაგვქურდეს და გაგვცარცვესო. ამ „რე-ჩის" დროს სულ ყვირილი და კივილი იყო; რეპლიკები: „თვითონ ქურდები", „ყაჩაღები", „გამყიდველები" და სხვა.

ყოველივე ამის შემდეგ სიტყვის თქმა მოისურვა ისიდორემ [რამიშვილმა]. ის ხალხმა აიყვანა ხელში, დიდხანს არწია და შემდეგ დასვა ტრიბუნაზე: [ისიდორეს] სიტყვის შემდეგაც საშინელი ოვაც-იები გაუმართა.

მან მიმართა კრებას და უთხრა, რომ "ნუ ნერვიანობთ, დაწ-ყნარდითო. ვიცი თქვენი ნერვების მიზეზი. ეგ ის არის, რომ თქვენ არ ხართ მიჩვეული დაყენებულ პრეზიდიუმს. დღეს კი ასეთიაო. დღეს ყველაფერი დაყენებულია და თქვენ ეგ გაღელვებთ, რომ კაცი არაფერს გეკითხებათო.

„მართალია", გაისმა ხმები.

„რა მოგვიტანა ბოლშევიკებმაო?" - შეეკითხა ისიდორემ.

ხალხმა იყვირა: - „სიკვდილი, შიმშილი, ხოლერა, ჟამიო" და სხვა ათასი.

„რა წაგვართვაო?": - „სახელმწიფო, თავისუფლება, ქონებაო" და სხვა.

ისიდორეს ლაპარაკის დროს თეატრი საოცარ სანახაობას წარ-მოადგენდა, ხალხი გუგუნებდა, ტყავში ვერ ეტეოდა. დიდი ხანია ასეთ გამოსვლას, აგეთ მძლავრ ხმას ადგილი არ ქონია.

ისიდორეს შემდეგ სიტყვა აიღო მომხსენებელმა [სტალინმა]. მან დაიწყო ლაპარაკი და ხალხი დაიძრა შინ. ბევრი იხვეწა [სტალი-

ნი] – „მომისმინეთო”, მაგრამ ვერაფერი უშველა. რეზოლიუცია არ წამოაყენეს, იმიტომ, რომ შედეგი ცხადი იქნებოდა.

აი მოკლეთ ნახალოვკის ინციდენტი.

მე პირადათ არ მომეწონა ეს. ისიდორეს უთხარი - რას შვებით მეთქი. დამიფიცა - „არ მოგვიწყვიაო”.

(...)

სცსსა, ფ 2117, # 44. 6 – 7v.